

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა 2018 – 2026 წლებში

1. ინტერნაციონალიზაციის განვითარებაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიზანი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია რათა უნივერსიტეტმა შეძლოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პრეცედის ეფექტური თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოება, რაც შესაძლებელს გახდის უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას. ეს არის სამოქმედო გრძელვადიანი გეგმის დამხმარე დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმებს და საფუძვლად უდევს აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო შრომითი ბაზარისათვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის მიზანია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და საერთაშორისო ცნობადობის გზრდა და უნივერსიტეტის გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია:

- ა) აკადემიური პერსონალის და სტუდენტები საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში;
- ბ) სტუდენტთა ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში;
- გ) პროფესორებისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა;
- დ) საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;
- ე) სამივე საფეხურის უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა;
- ვ) უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის ეფექტური მექანიზმების ამოქმედება;
- ზ) საერთაშორისო სეზონური სკოლების ორგანიზება.

2. კსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მართვა შემდეგ ძირითად კომპონენტებს ეფუძნება:

- ა) საერთაშორისო თანამშრომლობის გეგმიურ განვითარებას უნივერსიტეტის მოკლე და გრძელვადიანი გეგმებიდან გამომდინარე;
- ბ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, ფაკულტეტების, სამეცნიერო დეპარტამენტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სხვადასტრუქტურების ჩართულობის და კოორდინაციის ეფექტურობას;
- გ) ინგლიუსურ და სხვა უცხოენებზე სერვისების განვითარებას შიდასაუნივერსიტეტო დონეზე;
- დ) ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტების მიღწევას ხარისხი კონტროლის და შეფასების ადექვატური მექანიზმების ამოქმედებით;

3. ინტერნაციონალიზაციის მართვის პროცესი

ინტერნაციონალიზაციის მართვის პროცესი ეფუძნება:

- ა) ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით კსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის SWOT“ ანალიზს (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები);
- ბ) დედინგის ციკლი _ PDCA მართვის აპრობირებულ მოდელს რაც გულისხმობს საქმის კონტროლისა და განვითარებისთვის ოთხი საფეხურის (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე) ეფექტურობის შეფასებას;
- გ) სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლს;
- დ) ინტერნაციონალიზაციის პროფესის თვითშეფასებას.

4. საერთაშორისო საგანმანათლებლო თანამშრომლობის განვითარებისთვის უნივერსიტეტი გეგმავს რამოდენიმე მიმართულებით განახორციელოს აქტიური ქმედებები:

ა) აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მობილობის ხელშეწყობის მიზნით ხელს შეუწყობს „Erasmus+“-ში თანამშრომლობის საპროექტო წინადადებების მომზადებას და ფონდში წარდგენასკავკასიისა და ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად. უნივერსიტეტს აქვს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა მრავალ ევროპულ უნივერსიტეტთან და უახლოეს მომავალში გეგმავსამ ქსელის გაფართოებას,იტალიის, ესპანეთის, გერმანიის, ესტონეთის, პორტუგალიისა უნივერსიტეტებთან ერთად მედიცინის, სამართლის, სოციალურ მეცნიერებების, ზიზნესის და ღვინის ტექნოლოგიების კვლევაში და სასწავლო პროგრამების განვითარებაში პარტნიორობის გაძლიერებას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და მეღვინეობის ფაკულტეტი გეგმავსსაერთაშორისო ერთობლივი კვლევების ინიცირებას ქართული ღვინის ტრადიციული მეთოდით (ქვევრით) დაყენების თავისებურებების კვლევის მიზნით.

ბ) საერთაშორისო ორმაგი დიპლომის/ორმაგი ხარისხის ინგლისურენოვანი პროგრამების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნით უნივერსიტეტი გეგმავს ხელი შეუწყობს უცხოელი პროფესორების მოზდვას და ქართველი პროფესორების გაცვლით საერთაშორისო პროგრამებს. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს უცხოელი პროფესორების მოზიდვას და მათი ცხოვრებისა და დაფინანსების უზრუნველყოფას ნაწილობრივ ანდა სრული სემესტრის განმავლობაში. უნივერსიტეტი ასევე გეგმავს განავითაროს ვიზიტორი უცხოელი პროფესორების და მკვლევარების მომსახურებისა, საცხოვრებელი და სამუშაო პირობების ეფექტიანი კონცეფცია და გახადოს მათი საუნივერსიტეტო ცხოვრება მიმზიდველი და ეფექტური. ამ მიზნით უნივერსიტეტი ავითარებს ლოჯისტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურების ფუნქციებს და მექანიზმებს.

უნივერსიტეტი მეცნიერების განვითარების ფონდის ჩამოყალიბებით და თანმიმდევრული პროექტების განხორციელებითქმნის ეფექტიან მექანიზმს ხელიშეუწყოს პროფესორების და მკვლევარების ჩაერთვას ევროპისა და სხვა ქვეყნების პარტნიორ უნივერსიტეტებთან კვლევით და სასწავლო პროექტებში.მათ მიერ დაგეგმილი ვიზიტების და მივლინებებისდაფინანსებით ხელს შეუწყობს კვლევისა და სწავლების ინტერნაციონალიზაციის გაზრდას. უნივერსიტეტი გეგმავსდოქტორანტების ხელშეწყობას და კვლევების თანადაფინანსებას ინტერკულტურული და კროსკულტურული კვლევების განხორციელების წახალისების მიზნით.

გ) სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლებისა და მობილობის გზარდის მიზნით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ქართულენოვან პროგრამებზე შემუშავდება ინგლისურენოვანი სასწავლო მოდულები შემდგომის და გაზაფხულის სემესტრებისთვის, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს მოიზიდოს მეტი უცხოელი სტუდენტი. უნივერსიტეტი გეგმავს თანმიმდევრულად გაზარდოს საერთაშორისო მობილობით ჩამომსვლელი უცხოელი სტუდენტების რიცხვი.

უნივერსიტეტი გააფართოებს პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელს რათა გაცვლით პროგრამების მეტი არჩევანი შესთავაზოს სტუდენტებს და ამავდროულად გაზარდოს ERASMUS+ ფარგლებში სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლის პროექტების განაცხადები მედიცინის, სამართლის, სოციალური მეცნიერების, ბიზნესისა და მეღვინეობის მიმართულებებზე.

თანამედროვე დარგობრივი სტანდარტებით განვითარებული პროგრამების არსებობას ხელს უწყობს სტუდენტებს, რომ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, კვლევებსა თუ შეჯიბრებებში. შესაბამისად, სტუდენტების დივერსიფიკაციისა და ზრდადობის მიხედვით, საერთაშორისო ფონზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარმატებით ახდენს ინტეგრაციას სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტების არჩევანში.

5. კსუ გეგმავს საერთაშორისო ქსელებში მონაწილეობის განვითარებას ორი მიმართულებით:

ა) უნივერსიტეტის როგორც ინსტიტუციისა და მის აკადემიურ პერსონალის ევროპისა და წამყვან საუნივერსიტეტო და დარგობრივ ასოციაციებში მონაწილეობა და გაწევრიანება მოხდება უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და სამეცნიერო დეპარტამენტთან კოორდინაციით. ეს სტრუქტურები უნივერსიტეტში ხელს შეუწყობენ და წარმართავენ საერთაშორისო ქსელებში გაწევრიანების პოლიტიკას.

ბ) საერთაშორისო კვლევებში აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ჩართულობის გაზრდა და ერთობლივი კვლევითი პროექტების წარდგენა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში და საერთაშორისო ფონდებში. უნივერსიტეტი თანმიმდევრულად შეუწყობს ხელს საუკეთესო კვლევით პროექტებს უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ფონდისა და სამეცნიერო დეპარტამენტის მეშვეობით. სრულად ანდა ნაწილობრივ დაფინანსების გამჭვირვალე მექანიზმები და პროცედურები ერთის მხრივ უზრუნველყოფს საერთაშორისო კვლევითი პროექტების ეფექტიანობას და მდგრადობას, ხოლო მეორეს მხრივ ქმნის მოტივაციას მკვლევარებისთვის მოიძიონ და მოიზიდონ საერთაშორისო პარტნიორები ერთობლივი კვლევების განსახორციელებლად.

6. უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება

ა) უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება ეროვნული პოლიტიკის ნაწილია. ის თანმიმდევრულად ვითარდება „ისწავლე საქართველოში“ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების ეროვნული პროექტის ფარგლებში. ცნობადობის ამაღლების ხეშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში ასევე მოხილავს უნივერსიტეტის ადამიანური, სტრუქტურული და ფინანსური რესურსები.

ბ) უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფს საერთაშორისო ცნობადობის ეფექტიანი მექანიზმების ამუშავებას. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და დანერგვა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია. უნივერსიტეტი აგრძელებს სტუდენტთა საერთაშორისო რეკრუტურთა ქსელის გაფართოებას. იგეგმება ინდოეთის ირანის, თურქეთის, ჩინეთის, პაკისტანის, ერაყის, აფრიკის ქვეყნებისა და დსთ ქვეყნების მიმართულებით სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის რეკრუტურთა სააგენტოებისა და ინდივიდუალური აგენტების/პარტნიორების ქსელის შექმნა.

გ) უნივერსიტეტი გეგმავს უცხოელ რეკრუტურთა სეზონურ ვორქშოპებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საქართველოს და საგანმანათლებლო სისტემისა და პროგრამების პოლულარიზაციის მიზნით. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მონაწილეობს და მომავალშიც გეგმავს საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებზე

მონაწილეობას, საერთაშორისო მედია საშუალებებისათვის ვიდეო რგოლების მომზადებას და სარეკლამო საქმიანობის გაფართოებას მონიშნულ ქვეყნებში.

დ) საერთაშორისო კამპუსის განვითარება - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან წარმატებით ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მიღებას და აძლევს მათ უმაღლეს განათლებას, შესაძლებლობას აძლევს გაეცნონ ქართულ ენასა და კულტურას. უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით დღეისათვის მომსახურებაზე (დაბინავება, ტრანსპორტირება და უსაფრთხოება) დამატებით (აუთოსორსინგის) გარეშე მომსახურებაა გაკეთებული. შემდგომ საანგარიშო პერიოდში იგეგმება საერთო საცხოვრებლის ორგანიზება და საერთაშორისო სტუდენტთა მომსახურების ოფისის გახსნა.

ე) საერთაშორისო სეზონური სკოლები მიმართული იქნება მონიშნული ქვეყნებიდან სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მოზიდვის სააგენტოებისა და აგენტებისათვის. ეს აქტივობა ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების მიმართულებით საქართველოსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ ცნობიერებისა და ნდობის ამაღლებას.

7. ინტერნაციონალიზაციის აქტივობების ხარისხის მართვა და წარმატების ინდიკატორები

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მისი შეფასების ინდიკატორების კონსტატაცია მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ დოკუმენტში:

ა) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო განიხილავს და ადგენს ფაკულტეტების მიერ შემუშავებულ საერთაშორისო თანამშრომლობის კონკრეტულ სამოქმედო გეგმას.

ბ) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის მართვისა და შეფასების ინდიკატორებს.

გ) პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიურ პერსონალთან კოორდინაციით, ადგენს ინტერნაციონალიზაციაში დაგეგმილ ნიშნულებს და სახავს მისი მიღწევის გზებსა და საშუალებებს.

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებთან ერთად აფასებს ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლებისა და კვლევის ხარისხს და მიღწევებს. ადგენს ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის და ინგლისურენოვანი მოდულებისთვის საჭირო ადამიანური და სასწავლო რესურსების ოპტიმალურ მოცულობას.

ე) უნივერსიტეტი ნერგავს წახალისების მექანიზმს ინტერნაციონალიზაციის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

ვ) უნივერსიტეტის მედია ცენტრი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური შეიმუშავებს სოციალური მედიისა და ტრადიციული მედია საშუალებებით ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პოპულარიზაციის გეგმებს.

8. ინტერნაციონალიზაცია პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა და პირი

აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების შესრულებისა და მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია კსუ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი და რექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა

1. სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის მობილობის გაფართოება..... **Error! Bookmark not defined.**
 - 1.1. უცხოელი პროფესორების მოწვევა აკადემიურ პერსონალად..... **Error! Bookmark not defined.**
 - 1.2. უცხოელი ცნობილი პროფესორების ჩამოყვანა, “Package” კურსების ჩასატარებლად ან/და Guest სპიკერებად **Error! Bookmark not defined.**
 - 1.3. უცხოელი სტუდენტების რეკრუტირება და რაოდენობის ზრდა.. **Error! Bookmark not defined.**
2. აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაცია **Error! Bookmark not defined.**
 - 2.1. საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების გაზრდა..... **Error! Bookmark not defined.**
 - 2.2. უცხოელი სტუდენტების ინტეგრაცია ქართულ კულტურულ გარემოში **Error! Bookmark not defined.**
 - 2.3. დისტანციური სწავლების დანერგვა..... **Error! Bookmark not defined.**
 - 2.4. ერთობლივი ხარისხისა (joint degree)და ორმაგი დიპლომის (double diploma) მოპოვების შესაძლებლობა **Error! Bookmark not defined.**
3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო ინსტიტუციებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელება:**Error! Bookmark not defined.**
 - 3.1. სამეცნიერო და სასწავლო პროექტისათვის საერთაშორისო კონსორციუმის შექმნა ან კონსორციუმში მონაწილეობა..... **Error! Bookmark not defined.**
 - 3.2. საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების მოძიება უცხოელ კოლაბორატებთან ერთად **Error! Bookmark not defined.**
4. შიდასაუნივერსიტეტო აქტივობების ორგანიზება კულტურთმშორისი (ინტერკულტურული) განათლების ხელშეწყობის მიზნით:..... **Error! Bookmark not defined.**
 - 4.1. საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციების ორგანიზება **Error! Bookmark not defined.**
 - 4.2. საერთაშორისო საზაფხულო ან/და ზამთრის სკოლის მოწყობა..... **Error! Bookmark not defined.**
 - 4.3. ფაკულტეტების დამოუკიდებელი მუშაობის წახალისება ... **Error! Bookmark not defined.**
5. ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალიზაციისთვის, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს უცხოურ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობის გაძლიერებას და ასევე, სხვა ქმედებებსა თუ ღონისძიებებს..... **Error! Bookmark not defined.**

1. სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის მობილობის გაფართოება

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს რამდენიმე მსხვილ ევროპულ უნივერსიტეტთან, როგორც “Erasmus +” პროექტის ფარგლებში, ისე ინდივიდუალურად გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე. კსუ გააფართოვებს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამების უკვე არსებულ სისტემას. ამ მიზნის მისაღწევად, კსუ-ს ყველა ფაკულტეტი აქტიურად იმუშავებს სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელების გაცვლით პროგრამაში ჩასართავად.

ფაკულტეტები დამოუკიდებლად და აქტიურად ჩაატარებენ გამოკითხვას სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, რათა შედგეს ზუსტი სია, თუ ვის აქვს სურვილი და შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს “Erasmus +” პროექტში.

უნივერსიტეტი იზრუნებს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა ენობრივი ბარიერის შემცირებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ყველა სტუდენტისთვის სავალდებულოა ზოგადი ინგლისური და თითოეული ფაკულტეტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს ისწავლონ პროფესიული ინგლისურიენა არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში. ასევე, უნივერსიტეტი შექმნის ინგლისური ენის კურსს საკუთარი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

უცხოელი სტუდენტების “Erasmus +”-ის პროექტის ფარგლებში ან მის გარეთაც, მოზიდვის მიზნით, უნივერსიტეტი შექმნის ე.წ. Hosting Family-ს ბაზას. ბაზაში გაწევრიანდებიან ოჯახები, რომლებიც აკმაყოფილებენ საცხოვრებლის წინასწარ დადგენილ სტანდარტებს. უნივერსიტეტი დეტალურად შეამოწმებს თითოეულ კანდიდატს და სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ოჯახები, ანაზღაურების სანაცვლოდ, შეძლებენ, რომ უმასპინძლონ უცხოელ სტუდენტებს სემესტრულად. აღნიშნული პროექტი საგრძნობლად შეამცირებს ხარჯებს უნივერსიტეტისთვისა და სტუდენტებისთვის, რაც უფრო მოთხოვნადს გახდის კსუ-ს.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად დააფინანსებს საუკეთესო მოსწრების მქონე და გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველ რამდენიმე სტუდენტს საზღვარგარეთ ერთსემესტრიანი სწავლებისათვის. უნივერსიტეტი დააფინანსებს მგზავრობის, დაზღვევის, ცხოვრებისა და სხვა კომუნალურ ხარჯებს ერთი სემესტრის განმავლობაში. სტუდენტები შეირჩევიან წინასწარ განსაზღვრული გამჭვირვალე, ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სავალდებულოს გახდის სამი წლის მანძილზე ერთ სემესტრიან საერთაშორისო მივლინებას, ხოლო აკადემიური პერსონალისთვის კი ხუთ წელიწადში ერთხელ. სემესტრული მივლინების დროს, დოქტორანტები და აკადემიური პერსონალი, ჩაერთვებიან საერთაშორისო სამეცნიერო კვლევაში და მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონფერენციაში. მათ ექნებათ შესაძლებლობა, რომ თავად აირჩიონ სამეცნიერო კვლევა და უნივერსიტეტთან შეთანხმებით, განახორციელონ ის.

ასევე უნივერსიტეტი გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების შემდეგ შეადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და ხელს შეუწყობს მათ აკადემიური პროგრამის ათვისებასა და ცხრილის შედგენაში, რათა მათთვის სემესტრის გაცდენის რისკი ნაკლები იყოს.

1.1. უცხოელი პროფესორების მოწვევა კადემიურ პერსონალად

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ განსხვავებული აზრისა და ხედვის მიწოდება სტუდენტისთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მისი განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევა, რომ აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებული იყოს მრავალფეროვანი და კომპეტენტური, არამარტო ქართველი, არამედ უცხოელი პროფესორებით, რომლებიც აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებით იქნებიან დაკავშირებულნი უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტი ბიუჯეტიდან ამოყოფს თანხას, რომ ყოველწლიურად შეძლოს უცხოელი პროფესორების მოწვევა კურსის ჩასატარებლად და გადაუხადოს მათ საქართველოშიც ხოვრების ხარჯები.

კონკრეტულად ამ მიზნისთვის, კსუ მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო კვლევებსა და პროექტებში, რომ შეძლოს საკუთარი თავის წარდგენა საერთაშორისო ასპარეზზე და გაიცნოს უცხოელი პროფესორები და დააინტერესოს ისინი თანამშრომლობით; ასევე გააძლიერებს თანამშრომლობას პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რომ გაიხსნას პროფესორთა მობილობის შესაძლებლობა.

ასევე უნივერსიტეტის პროფესორები წახალისებულნი იქნებიან, რომ დაამყარონ კონტაქტი საკუთარ უცხოელ კოლეგებთან, გააცნონ მათ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და შესთავაზონ მათ თანამშრომლობა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

1.2. უცხოელი ცნობილი პროფესორების ჩამოყვანა, “Package” კურსების ჩასატარებლად ან/და Guest სპიკერებად

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველწლიურად მოიძიებს უცხოელ ცნობილ და წარმატებულ პროფესორებს, რომლებსაც შესთავაზებს ე.წ. “Package” კურსების ან საჯარო ლექციის ჩატარებას.

ამ მიზნის მისაღწევად და ცნობილი პროფესორების მოსაზიდად, უნივერსიტეტი გააძლიერებს საკუთარ კავშირებს უცხოურ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებთან. ამასთან ერთად, კსუ გამოიყენებს “Erasmus +”-ის პროგრამას.

ცნობილი პროფესორების ჩამოყვანის მიზნით, კსუ ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფს თანხას, რომ შესთავაზოს მათ საცხოვრებელი ადგილი და ანაზღაურება.

1.3. უცხოელი სტუდენტების რეკრუტირება და რაოდენობის ზრდა

უნივერსიტეტის მიზანია, რომ მეზობელი ქვეყნებისა და აღმოსავლეთის ქვეყნების გარდა, დაიმკვიდროს საკუთარი სახელი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და დიწყოს მათი მოქალაქეების აქტიური ჩარიცხვა უნივერსიტეტში.

უცხოელი სტუდენტების რეკრუტირების მიზნით, უნივერსიტეტმა უკვე დანერგა გარე მობილობის მსურველებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, მოსახერხებელი ჩარიცხვის წესები. ამასთან ერთად კსუ გაწევრიანებულია „Study in Georgia“-ს პროექტში, სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად და იღებს მონაწილეობას განათლების საერთაშორისო გამოფენაში, რათა მაქსიმალურად მოიძიოს უცხოელი სტუდენტები და გამოიჩინოს თავი საერთაშორისო ასპარეზზე.

ამ დოკუმენტის 2.2 პუნქტის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს, რომ უცხოელ სტუდენტებს მისცეს საქართველოში შრომით ბაზარზე დამკვიდრების შესაძლებლობა, რაც სტუდენტებს დაეხმარებათ, საერთაშორისო შრომით ბაზრისთვის უნიკალური ცოდნისა და გამოცდილების მოხვეჭვაში. კსუ-ში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების დიდი რაოდენობა სწავლობს სამედიცინო ფაკულტეტზე, უნივერსიტეტი

შესაძლებლობას აძლევს ქართველ და უცხოელ სტუდენტებს, რომ მათ მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება ქართულ სამედიცინო დაწესებულებებში. უნივერსიტეტი მობილიზებული იქნება, რომ კიდევ უფრო გაზრდოს საქართველოში მომუშავე უცხოელი სტუდენტების რიცხვი. წახალისებს სტუდენტებს, რომ მათ ისწავლონ ქართული ენა და დამსაქმებლებთან ერთობლივი მუშაობით, შეიმუშავენ რეკრუიტირების გეგმას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი შექმნის რეკრუიტერტა ქსელს. ქსელში არსებული პერსონალი გადანაწილებულნი იქნებიან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში და ექნებათ უფლებამოსილება, რომ იმოქმედონ უნივერსიტეტის სახელით. ისინი იზრუნებენ უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოზიდვაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კსუ გამართავს ყოველწლიურ საზაფხულო სკოლას რეკრუიტერებისთვის (იხ. 5.2 პუნქტი). სკოლაში მოწვეულ პროფესორებს კი ექნებათ შესაძლებლობა, რომ შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, წარმოადგინონ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმებსა და სასწავლო გრაფიკებზე, რომელიც მოსახერხებელი იქნება უცხო მოქალაქეებისთვის და კიდევ უფრო მოთხოვნადს გახდის კსუს. ამით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობის სტაბილურ ზრდას შემდეგი წლების მანძილზე.

2. აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაცია

2.1. საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების გაზრდა

უნივერსიტეტში მოქმედი ყველა ფაკულტეტი მუდმივად გაუკეთებს რევიზიას უკვე დადგენილ სასწავლო პროგრამებსა და მოქმედ ან მომავალში გამოსაყენებელ კურიკულუმებს. სასწავლო პროგრამა, შეძლებისდაგვარად, გახდება გლობალური ბაზარისა და საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ რეალობაზე მორგებული.

უნივერსიტეტი გაზრდის ინგლისური კურსების ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის, რათა მინიმალურ ფასად მათ შეძლონ დამატებით ინგლისური კურსების ჯგუფში ჩაწერა.

2.2. უცხოელი სტუდენტების ინტეგრაცია ქართულ კულტურულ გარემოში

ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მიზნის მიხედვით, უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა უნდა გააცნონ საკუთარი ქვეყანა უცხოელ სტუდენტებს, მისცენ მათ განათლება იმ ქვეყნის კულტურაში, წარსულსა და ენაში.

უცხოელი სტუდენტებისთვის არჩევითი სასწავლო კურსების სახით არსებობს ქართული ენის კურსები, რათა მათ უკეთ შეძლონ საქართველოში ცხოვრება და განათლების მიღება.

არჩევით ქართულ ენას კი დაემატება ინტერაქტიული საჯარო ლექციები და ტრენინგები ქართულ კულტურასა და ისტორიაზე, რომ უცხოელმა სტუდენტებს ჰქონდეთ სწავლის საშუალება. ამასთან ერთად, ეს დაეხმარება უცხოელ სტუდენტებს, რომ შეძლონ ქართულ შრომით ბაზარზე საკუთარი თავის დამკვიდრება და გახდნენ მაქსიმალურად კონკურენტუნარიანები.

უნივერსიტეტი იზრუნებს, რომ უცხოელი სტუდენტებისთვის ჩატარდეს კულტურული ღონისძიებები, რათა ისინი გაეცნონ საქართველოს ტრადიციებსა და შეექმნათ წარმოდგენა საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე.

2.3. დისტანციური სწავლების დანერგვა

ელექტრონული სწავლების მეთოდის მთავარი მიზანია, სწავლის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობით გაზარდოს სტუდენტთა მოქნილობა, გააუმჯობესოს სწავლის/სწავლების ზოგადი ხარისხი, შესაძლებელი გახადოს დისტანციური სწავლება და

განუვითაროს მათ ის ცოდნა და უნარი, რომელიც საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების აღსაზრდელად. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მოამზადებს ნიადგს და დანერგავს ელექტრონული სწავლებას (E-learning). ამ მიზნით განახორციელებს მთელ რიგ მოქმედებებს, როგორცაა: ელექტრონული სწავლების დაგეგმვა, ელექტრონული სასწავლო კურსები შექმნა, სასწავლო მეთოდების შემუშავება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზების შექმნა, დისტანციური ტექნოლოგიების დანერგვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის ფორმირება, კადრების მომზადება და სხვა.

2.4. ერთობლივი ხარისხისა (joint degree) და ორმაგი დიპლომის (double diploma) მოპოვების შესაძლებლობა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში არსებობს შესაძლებლობა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რომ ალკალას უნივერსიტეტში (ესპანეთი) მოიპოვონ ერთობლივი აკადემიური ხარისხი. უნივერსიტეტი გააგრძელებს აქტიურ მუშაობას პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისათვის ორმაგი დიპლომისა (double diploma) და ერთობლივი ხარისხის გაცემის მიზნით.

3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო ინსტიტუციებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელება:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს რიგი ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს მაღალი დონის სამეცნიერო კვლევების განვითარებას, სტუდენტების და ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო პოტენციალის ზრდას და ინტერნაციონალიზაციას. კსუ აცხადებს სამეცნიერო გრანტებს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად წელიწადში 60000 ლარის ოდენობით. ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების შესწავლა-ანალიზს. დასაფინანსებელ კვლევას არ მოეთხოვება უშუალო კომერციული სარგებლიანობა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა წარმოადგენდეს სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურულიან/დატექნიკური პროგრესის საფუძველს. ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო გრანტების კონკურსის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა კვლევის განხორციელება პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად ან/და უცხოელი მეცნიერის ჩართვა პროექტის კონსულტანტის სახით. ასევე, პროექტის ძირითად პერსონალში არანაკლებ ერთი ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვა.

უნივერსიტეტი ასევე აცხადებს მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსს (4500 ლარი თითოეული სამეცნიერო მიმართულებიდან) სტუდენტების მონაწილეობით, რომელშიც გათვალისწინებულია უცხოელი კონსულტანტის ანაზღაურებაც. პროექტის სამეცნიერო შედეგების გამოქვეყნების კომპონენტებიდან უმაღლესი ქულა ენიჭება პროექტს, რომლის სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდება ჟურნალში/კრებულში/საკონფერენციო მასალებში, რომელიც ინდექსირებულია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში/რეიტინგებში: web of science, scopus, SCImago Journal Rank, ERIH plus. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კსუ-ს მიერ დაგეგმილი სამეცნიერო საგრანტო კონკურსები ხელს უწყობს კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნას, გამორჩეული ხარისხის კვლევების განვითარებას, კვლევების მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაციას, კვლევის შედეგების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას მათი ჩართვით კვლევაში.

ასევე დაგეგმილია თანადაფინანსებების გამოცხადება როგორც აფილირებული პერსონალისთვის, ისე ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, რომლებიც კსუ-ს სახელით წარადგენს საგრანტო პროექტს რომელიმე სამეცნიერო ფონდში.

3.1. სამეცნიერო და სასწავლო პროექტისათვის საერთაშორისო კონსორციუმის შექმნა ან კონსორციუმში მონაწილეობა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი გადადგამს ნაბიჯებს, რომ შექმნას საერთაშორისო კონსორციუმის ხვა უნივერსიტეტებთან ერთად, ან ჩაერთოს უკვე შექმნილ კონსორციუმში. ამ მიზნის მისაღწევად, უნივერსიტეტი მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო საუნივერსიტეტო კონფერენციებში, უნივერსიტეტების გამოფენებზე და ამსგავს ფორუმებზე, სადაც შეძლებს, რომ წარმოაჩინოს საკუთარი თავი, გაიცნოს სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები და დაიწყოს თანამშრომლობა კონსორციუმის შესაქმნელად. ასევე, გამოიყენოს კონტაქტები ახალ უნივერსიტეტებთან ან უკვე პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ჩაერთოს, სხვა უნივერსიტეტების მიერ შექმნილ კონსორციუმში.

3.2. საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების მოძიება უცხოელ კოლაბორატებთან ერთად

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საერთაშორისო და ხანგრძლივი პროექტების ჩასატარებლად, საკუთარი ბიუჯეტის გარდა, მოიძიებს გრანტებს ადგილობრივი ორგანიზაციებისგან და/ან საერთაშორისო ორგანიზაციებისგან.

ამის მისაღწევად, უნივერსიტეტი შეიმუშავებს პროექტებს უცხოურ უნივერსიტეტებთან კოლაბორაციით, რაც განახროციელა 2014 წელს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდთან და ასევე 2017 წელს Erasmus+-თან.

კსუ ითანამშრომლებს ქართულ და უცხოურ ორგანიზაციებთან, რომ ჰქონდეს წვდომა გრანტთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. ასევე, უნივერსიტეტი ითანამშრომლებს სხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან, რომ წარადგინოს მაღალი ხარისხის პროექტები გრანტისთვის.

4. შიდასაუნივერსიტეტო აქტივობების ორგანიზება კულტურთშორისი (ინტერკულტურული) განათლების ხელშეწყობის მიზნით:

4.1. საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციების ორგანიზება

კავკასიის უნივერსიტეტი 2013 წლიდან ახორციელებს ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტი კიდევ უფრო გააძლიერებს ფოკუსს, რომ გაზარდოს ამ კონფერენციის მასშტაბები და უფრო აქტიურად ჩაერთონ უცხოელი სტუდენტები, სხვადასხვა ქვეყნებიდან.

ასევე, უნივერსიტეტი იზრუნებს, ყოველწლიური სახე მისცეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, სადაც მოწვეულნი იქნებიან დელეგაციები წარმატებული უცხოელი უნივერსიტეტებიდან. უნივერსიტეტი, საკუთარი ბიუჯეტის ფარგლებში, იზრუნებს მათ თბილისში განთავსებაზე კონფერენციის დროს.

კსუ-ში შექმნილია სამეცნიერო დეპარტამენტი, რომელსაც უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოუყოფს დამატებით ფინანსებს, რათა მათ იზრუნონ საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციების მოწობასა და სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან ურთიერთობაზე.

4.2. საერთაშორისო საზაფხულო ან/და ზამთრის სკოლის მოწყობა

საერთაშორისო საზაფხულო სკოლა დაყოფილი იქნება ორ კატეგორიად. ერთი იქნება სტუდენტებზე ორიენტირებული, ხოლო მეორე იქნება რეკრუიტერებისთვის.

საზაფხულო სკოლა რეკრუიტერებისთვის, მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი პროფესორები და განათლების სფეროში, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. უნივერსიტეტი

ყოველწლიურად გამოყოფს ბიუჯეტს, რომ საზაფხულო სკოლის პერიოდში, დაათვალიერებინოს მონაწილეებს საქართველო, გააცნოს კსუ-ს სამუშაო სისტემა. მისცეს მათ საშუალება, რომ გაიცნონ საქართველოს კულტურა და ასევე კსუ-ს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობები. სკოლის დასრულების შემდეგ, მონაწილეები მიიღებენ სპეციალურ სერტიფიკატს, რომლითაც ისინი გახდებიან უნივერსიტეტის ოფიციალური წარმომადგენლები თავიანთ რეგიონებში, სანაცვლო კი, თითოეულ მოწვეულ სტუდენტსა და ლექტორზე მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას.

უნივერსიტეტი იზრუნებს იმაზე, რომ სტუდენტებმა, არამარტო საქართველოდან, არამედ უცხოური უნივერსიტეტებიდან, საზაფხულო ან/და ზამთრის სკოლაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, მოიპოვონ კრედიტები. ამით მნიშვნელოვნად გაიზრდება მოთხოვნა საერთაშორისო საზაფხულო და ზამთრის სკოლებზე.

ასეთი ტიპის სკოლები უნდა იყოს მრავალფეროვანი. ყოველწლიურად, ფაკულტეტებს დაევალებათ, რომ შეადგინონ საზაფხულო ან/და ზამთრის სკოლებისთვის სპეციალური სასწავლო პროგრამები საერთაშორისოდ ცნობილ და საინტერესო თემებზე, რათა სტუდენტებს ქონდეთ არჩევნის საშუალება და არ იყონ შეზღუდულნი ერთი პროფესიით ან სასწავლო დისციპლინით.

ამასთან ერთად, კურსები ჩატარდება ინგლისურ ენაზე. მოწვეულნი იქნებიან, კომპეტენტური უცხოელი პროფესორები, რომლის ცხოვრების ხარჯებს, საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ საზაფხულო ან/და ზამთრის სკოლები, არის ძალიან მნიშვნელოვანი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის. ამ ნაბიჯებით კი საერთაშორისო ცნობადობა ამაღლდება არამარტო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კურსებზე, არამედ ზოგადად უნივერსიტეტსა და მის საქმიანობაზე.

4.3. ფაკულტეტების დამოუკიდებელი მუშაობის წახალისება

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს თითოეულ ფაკულტეტს, რომ გამოყოფილი იყონ ისინი ერთმანეთისგან და შესაძლებლობა ქონდეთ, რომ იმუშაონ სამეცნიერო კვლევებზე ისე, როგორც საჭიროდ თვლის ფაკულტეტის დეკანი, საფაკულტეტო საბჭო და ადმინისტრაცია. ასეთი სახის მმართველობა, მნიშვნელოვნად ზრდის ინტერნაციონალიზაციის წარმატების შანსებს, რადგან არცერთი ფაკულტეტი არ იქნება დამოკიდებული სხვაზე და მეტ წილად, ისინი შეძლებენ, რომ იმუშაონ საკუთარ საერთაშორისო პროექტებზე, იზრუნონ საკუთარი სტუდენტების ჩართულობაზე კვლევებსა და საზღვარგარეთ სწავლა/მუშაობა-ში.

კსუ ხელსშეუწყობს ფაკულტეტების დამოუკიდებელ მმართველობას, რათა მათ შეძლონ ზემოთ ჩამოვლილი მიზნების წარმატებით განხორციელება. უნივერსიტეტი მხოლოდ და მხოლოდ ზედამხედველობას გაუწევს ფაკულტეტების საქმიანობას, რომ ისინი არ გასცდნენ საკუთარ კომპეტენციას და იმუშაონ შიდა რეგულირებებისა და კანონის ფარგლებში.

5. ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალიზაციისთვის, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს უცხოურ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობის გაძლიერებას და ასევე, სხვა ქმედებებსა თუ ღონისძიებებს.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი უკვე აფილირებულია რამდენიმე მსხვილ საერთაშორისო ორგანიზაციასთან და აქტიურად თანამშრომლობს მათთან, საგრანტო კონკურსებსა და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში.

კსუ იზრუნებს, რომ შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომლის მიზანიც იქნება, რომ უკვე არსებულ ორგანიზაციებთან გააძლიეროს თანამშრომლობა, ასევე მოიძიოს ახალი ორგანიზაციები, რომლებიც თანახმანი იქნებიან უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ პროექტებში ჩართვაზე.

ორგანიზაციების გარდა, უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ გააძლიეროს კავშირები დიპლომატიურ კორპუსთან. ამ მიზნის მისაღწევად, უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთვება საერთაშორისო ღონისძიებებში, სადაც წარსდგება საკუთარი წარმომადგენლებით და გააცნობს უნივერსიტეტს სხვადასხვა უცხოურ ორგანიზაციებს.

კავშირების გასამყარებლად და შესაქმნელად, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი აქტიურად გამოჩნდეს ასეთი ტიპის ღონისძიებებზე, მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში და საკუთარი სტუდენტები წარადგინოს სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებსა და სხვა სახის ფორუმებზე.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმა

I.	შესავალი	14
II.	უცხოელი სტუდენტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა.....	14
1.	რეკრუიტერთა ქსელის შექმნა.....	14
1.1.	რეკრუიტერთა მოძიება.....	14
1.2.	საზაფხულო სკოლის მოწყობა რეკრუიტერებისათვის.....	14
2.	საერთაშორისო სტუდენტთა მომსახურების ცენტრის სერვისების გაუმჯობესება.....	14
2.1.	პრობლემის იდენტიფიცირება/ახალი სერვისის დანერგვის აუცილებლობა.....	14
2.2.	სტუდენტთა მომსახურების ცენტრის მიერ ინიცირებული წინადადებების განხილვა და პროექტის მომზადება	15
III.	სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის მობილობის გაფართოება - 2018-2020 წლებისთვის	15
1.	გაცვლით პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა.....	15
1.1.	სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა ფაკულტეტების მიხედვით	15
1.2.	უცხო ენის გამოცდის ორგანიზება გაცვლით პროგრამაში მონაწილე კონტიგენტის შესარჩევად -.....	15
1.3.	ერასმუს + - ის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად პარტნიორ უნივერსიტეტებთან წინასწარი მოლაპარაკება ადგილების გამოცხადების მიზნით.....	16
1.4.	ინგლისურენოვან პროგრამებზე უცხოელი პროფესორების მოწვევა ერასმუს +-ის ფარგლებში	16
1.5.	ინდივიდუალურად გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე გაცვლითი პროგრამების რაოდენობის გაზრდა	16
2.	სტუდენტთა სრული დაფინანსება გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.....	16
IV.	მიმღები ოჯახების (Hosting family) - ბაზის შექმნა.....	17
1.	Hosting family პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა გამოვლენა	17
2.	მონაწილეობის მსურველთა მიხედვით კანდიდატთა შერჩევა.....	17
3.	Hosting family - ბაზის შექმნა	17
V.	არსებული სამოქმედო გეგმის შეფასება, ანალიზი და მომდევნო სამოქმედო გეგმის შემუშავება	17
1.	არსებული სამოქმედო გეგმის შეფასება, ანალიზი	17
2.	ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება.....	17

I. შესავალი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი თავისი მისიდან გამომდინარე ნერგავს და ავითარებს ინტერკულტურულ განათლებას მაღალი სტანდარტის საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და სამოქალაქო კულტურის მქონე თაობის აღზრდით.

II. უცხოელი სტუდენტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა

მიზნის შესასრულებლად დასახულია შემდეგი ამოცანები:

1. რეკრუიტერთა ქსელის შექმნა - დაგეგმილია 2018 წლის სექტემბრისთვის

აღწერილობა: უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტული რეგიონების მიხედვით რეკრუიტერთა ქსელის შექმნა, რომლებსაც ექნებათ წარმომადგენლობითი ფუნქცია თავიანთ ქვეყნებში უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების მოზიდვის მიზნით.

1.1. რეკრუიტერთა მოძიება - ქსელის შექმნის მიზნით შეირჩევა კანდიდატები პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნუკაციის საფუძველზე. სავარაუდო კანდიდატები შერჩეულ უნდა იქნან 2018 წლის 1 ივნისამდე.

1.2. საზაფხულო სკოლის მოწყობა რეკრუიტერებისათვის - სავარაუდო კანდიდატების შერჩევის შემდეგ მოეწყობა საზაფხულო სკოლა, სადაც რეკრუიტერები გაეცნობიან ქართულ კულტურას, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, ღირებულებებს, საგანმანათლებლო პროგრამებსა და შესაძლებლობებს, რომლებსაც სთავაზობს უნივერსიტეტი საერთაშორისო სტუდენტებს. Georgian International Summer School for recruiters - მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატი რექტორის წერილთან ერთად (თანხმობა წარმომადგენლობაზე), რომლის საფუძველზეც შეძლებენ განახორციელონ უნივერსიტეტის წარმომადგენლობა თავიანთ ქვეყნებში. სკოლის მოწყობა დაგეგმილია 2018 წლის ზაფხულში.

განხორციელების ინდიკატორი:

- სერტიფიცირებულ რეკრუიტერთა რაოდენობა
- რეკრუიტერთა მიერ მოზიდული სტუდენტების/აკადემიური პერსონალის რაოდენობა

2. საერთაშორისო სტუდენტთა მომსახურების ცენტრის სერვისების გაუმჯობესება - დაგეგმილია 2018 წლის დეკემბრამდე

აღწერილობა: უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელიც წარმატებით ახორციელებს სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურებს, სხვადასხვა ცნობებისა და დოკუმენტების გაცემას. სტუდენტთა მომსახურების ცენტრის გაფართოება უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად და სერვისების მუდმივი გაუმჯობესება აუცილებელი პირობაა უცხოელი სტუდენტების ხელშეწყობისათვის.

2.1. პრობლემის იდენტიფიცირება/ახალი სერვისის დანერგვის აუცილებლობა - სტუდენტთა მომსახურების ცენტრი ჩაატარებს სტუდენტთა გამოკითხვას ანკეტა/კითხვარების მეშვეობით, რომლის ანალიზის შედეგადაც გამოვლინდება სტუდენტთა სურვილები ახალი სერვისების დანერგვასთან დაკავშირებით და გამოვლინდება არსებული პრობლემები. ცენტრი ასევე გამოკითხავს უცხოელ სტუდენტებთან შეხებაში მყოფ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს

პრობლემათა იდენტიფიცირებისა და ახალი სერვისების დანერგვის მიზნით. 2018 წლის 1 აგვისტომდე სტუდენტთა მომსახურების ცენტრმა უნდა წარმოადგინოს ანგარიში, რომელიც დაფუძნებული იქნება კვლევის შედეგებზე და ინიცირებული იქნება წინადადებები პრობლემათა მოსაგვარებლად ან/და ახალი სერვისების დანერგვისათვის.

ინდიკატორი: წარმოდგენილი ანგარიში

2.2. სტუდენტთა მომსახურების ცენტრის მიერ ინიცირებული წინადადებების განხილვა და პროექტის მომზადება - უნივერსიტეტის ხელმძღვანელობათან შეთანხმებით სტუდენტთა მომსახურების ცენტრმა უნდა განახორციელოს საჭირო მოქმედებები ცენტრის მომსახურების უზრუნველსაყოფად 2018 წლის ბოლომდე. 2018 წლის დეკემბერში ჩატარდება სტუდენტთა და პერსონალის ხელახალი გამოკითხვა შედეგების შეფასებისა და მომდევნო მოქმედებების დასაგეგმად.

ინდიკატორი: 2018 წლის ბოლოს განხორციელებული გამოკითხვის შედეგები

III. სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის მობილობის გაფართოება - 2018-2020 წლებისთვის

აღწერილობა: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს რამდენიმე მსხვილ ევროპულ უნივერსიტეტთან, როგორც “Erasmus +” პროექტის ფარგლებში, ისე ინდივიდუალურად გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე. კსუ გააფართოვებს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამების უკვე არსებულ სისტემას.

მიზნის შესასრულებლად დასახულია შემდეგი ამოცანები:

1. გაცვლით პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა (რამდენით?)

აღწერილობა: სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის მობილობის გაფართოებისათვის უნივერსიტეტი იზრუნებს საკუთარი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მეტ ჩართულობაზე აკადემიურ პროგრამებში.

1.1. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა ფაკულტეტების მიხედვით, რათა დადგინდეს მომდევნო 3 წლის განმავლობაში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა - ყველა ფაკულტეტი ჩაატარებს გამოკითხვას სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, თუ ვის აქვს სურვილი და შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამებში. შედეგად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეძლებს იმუშაოს მიმართულებების მიხედვით სხვადასხვა უნივერსიტეტთან გაცვლით პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი: შევსებული ანკეტა/კითხვარები.

1.2. უცხო ენის გამოცდის ორგანიზება გაცვლით პროგრამაში მონაწილე კონტიგენტის შესარჩევად - შესარჩევი კონკურსის პირობების შემუშავება, გამოცხადება, პროცედურა - უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ფაკულტეტებისა და უცხო ენების ცენტრის დახმარებით ჩაატარებს გამოცდას ინგლისურ ენაში გაცვლით პროგრამაში კონტიგენტის შესარჩევად.

ინდიკატორი:

➤ საგამოცდო ნაშრომები;

- სტუდენტთა სია, რომლებიც გადალახავენ ენის გამოცდაზე დაწესებულ ბარიერს.

1.3.ერასმუს + - ის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად პარტნიორ უნივერსიტეტებთან წინასწარი მოლაპარაკება ადგილების გამოცხადების მიზნით - ახალი პარტნიორების ძიება - უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ფაკულტეტების დახმარებით, მოიძიებს გაცვლითი პროგრამის შესაძლებლობებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის ჩატარებული გამოკითხვისა და უცხო ენის გამოცდის შედეგების მიხედვით.

ინდიკატორი: გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ხელშეკრულებების რაოდენობა. K1 სეგმენტზე შეტანილი განცხადებების რაოდენობა.

1.4.ინგლისურენოვან პროგრამებზე უცხოელი პროფესორების მოწვევა ერასმუს +-ის ფარგლებში - უნივერსიტეტი აწამრმოებს მოლაპარაკებებს უცხოელი პროფესორების მოწვევის მიზნით, იზრუნებს მათთვის მისაღები სამუშაო გარემოს შექმნისათვის და გამოყოფს პასუხისმგებელ პირს, რომელიც კოორდინაციას გაუწევს უცხოელი პროფესორების მუშაობას და იზრუნებს მათ კომფორტზე.

ინდიკატორი: ჩამოსულ უცხოელი პროფესორთა რაოდენობა.

1.5.ინდივიდუალურად გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე გაცვლითი პროგრამების რაოდენობის გაზრდა - უნივერსიტეტი მოიძიებს ახალ შესაძლებლობებს გაცვლითი პროგრამების რაოდენობის გაზრდისათვის; ასევე, იზრუნებს უკვე არსებული მემორანდუმების ფარგლებში გაცვლითი პროგრამების გაგრძელება/განვითარება/გაფართოებისათვის.

ინდიკატორი:

- ახალი გაცვლითი პროგრამის შეთავაზება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის;
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან არსებულ გაცვლით პროგრამებში ჩართულ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა.

2. სტუდენტთა სრული დაფინანსება გაცვლითი პროგრამების ფარგლებში - აღწერილობა: უნივერსიტეტი შეიმუშავებს დაფინანსების პროგრამას, რომლის მეშვეობითაც, ყოველწლიურად დააფინანსებს ყველაზე წარმატებულ სტუდენტებს გაცვლითი პროგრამების ხარჯების დასაფარად: სწავლა, ცხოვრება და ა.შ. ევროპის ფარგლებში ბიუჯეტი დაახლოებით ასე გამოიყურება:

		თვე	სემესტრი
1	დაზღვევა	€ 90.00	€ 360.00
2	ფრენა	€ 150.00	€ 150.00
3	შიდა მგზავრობა	€ 50.00	€ 200.00
4	განთავსება*	€ 500.00	€ 2,000.00
5	კვება/სხვა ხარჯი		
			€ 2,710.00

* შესაძლებელია განთავსების ხარჯის დაზოგვა ორი სტუდენტის ერთად გაშვების შემთხვევაში.

ინდიკატორი:

- დამტკიცებული დაფინანსების პროგრამა;
- უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სტუდენტების გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა.

IV. მიმღები ოჯახების (Hosting family) - ბაზის შექმნა.

დაგეგმილია 2019 წლის ზაფხულისათვის

აღწერილობა: უცხოელი სტუდენტების “Erasmus +”-ის პროექტის ფარგლებში ან მის გარეთაც, მოზიდვის მიზნით, უნივერსიტეტი შექმნის ე.წ. Hosting Family-ს ბაზას, რაც საგრძნობლად შეამცირებს განთავსების ხარჯებს და მოთხოვნადს გახდის კსუს.

მიზნის შესასრულებლად დასახულია შემდეგი ამოცანები:

1. **Hosting family პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა გამოვლენა** - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალს შორის. შესაძლებელია გონის ბაზის გამოყენება ინფორმაციის გავრცელებისა და კითხვარის შევსების მიზნით (ვის სურს მონაწილეობის მიღება).
ინდიკატორი: შევსებული კითხვარები და მონაწილეობის მსურველთა სია.
2. **მონაწილეობის მსურველთა მიხედვით კანდიდატთა შერჩევა** - მსურველი ოჯახისათვის მინიმალური მოთხოვნების ჩამოყალიბება (კომუნალური გარემო, ინტერნეტი და ა.შ.) შერჩევის პროცედურა, ანკეტის შევსება, საცხოვრებელი ადგილის შემოწმება, გაცნობა და ა.შ.
ინდიკატორი: შერჩეულ ოჯახთა სია.
3. **Hosting family - ბაზის შექმნა** - შერჩეული ოჯახებში მოხდება ფოტოების გადაღება, welcome ვიდეოს ჩაწერა და შეიქმნება Hosting family-ს პროექტის ელექტრონული ბაზა, რომელიც გაეგზავნებათ რეკრუიტერებს (რეკრუიტერებს, რომლებსაც ზაფხულში გავლილი ექნებათ Summer school for recruiters) და პარტნიორ უნივერსიტეტებს.
ინდიკატორები: შექმნილი ელექტრონული ბაზა.

V. არსებული სამოქმედო გეგმის შეფასება, ანალიზი და მომდევნო სამოქმედო გეგმის შემუშავება

დაგეგმილია 2020 წლისათვის

1. **არსებული სამოქმედო გეგმის შეფასება, ანალიზი** - 2020 წლისათვის უნივერსიტეტი განახორციელებს წინამდებარე სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, შეაფასებს და გაანალიზებს შედეგებს.
ინდიკატორი: ანგარიში ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით (Monitoring and Evaluation Report).

2. **ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება** - შედეგების საფუძველზე და უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის თანახმად საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ფაკულტეტების დახმარებითა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით შეიმუშავებს მომდევნო 3 წლის ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმას.

ინდიკატორი: შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმა (მომდევნო 3 წლისათვის)